წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. სამშაბათი, 15 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადებები:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ. [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით [illegible] 30 კაპ. უკან 20 კაპ. გლოვიათო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 485 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 485

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნიაჟნები ნატალია, სოფია და ეკატერინე გრიგოლის ასულნი და თავადნი დავით და მელქისედეგ გრიგოლის ძენი ფალავები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელი დის კნიაჟნა

**მინადორა (მინა) გრიგოლის ასული**

**ფალავას**

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა 12 ნოემბერს დილით. გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე, ხვალ 15 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება 17 ნოემბერს, შაბათს სოფელ ბანძაში, საგვარეულო ეკლესიის გალავანში.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 14 ნოემბრიდან

**რუსის ჯარი საფრანგეთში** სამხედრო სურათი ნამდვილიდან.

**ბედნიერება კი შესაძლებელი იყო**

დრამა 5 ნაწილად, ლისენკოს, მოზჟუხინისა და პანოვის მონაწილეობით.

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 14 ნოემბრიდან:

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

**სისხლის მსმელი** (თავი). ვჰენად და მერსის რომანის პირველი სერია.

სახუმარო. **რომეო!?** სახუმარო.

---

**დაიბეჭდა** ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. კ. უიფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის. შესავალი გაზ. „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, სადამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბაღახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი** ა. **ჩარაძოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. სადამოს 6—8 ს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხვნოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატესტატო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იაფანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. სად. მასწავლებელი ა. ზ. თეთ.

---

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ეცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და სადამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ზოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

8-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

## უთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

## საორგანიზაციო კომიტეტი,

რომელიც, წესდების § 34-ის თანახმად, მდგომარე 1916 წლის 4 დეკემბერს იწვევს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას გამგეობის, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად, უმორჩილესად სთხოვს საზოგადოების წევრად ჩაწერის მსურველთ

**დეკემბრის პირველ რიცხვამდი შემოიტანონ განცხადება და წარმოადგინონ საწევრო ფული.**

ყოველგვარი ცნობისა და განცხადების დაბეჭდილი ბლანკის მისაღებად უნდა მიმართონ კომიტეტის ხაზინადარს ა. ი. კრინიცკის დღის 12 საათიდან 2-დი.

(ქ. ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომი).

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.**

12 ნოემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ნაროჩის გაღმა, ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენმა მზვერავებმა მოპირდაპირის მოდარაჯეებს 1 ტყვიისმფრქვეველი წაართვა. კრევოს ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მოპირდაპირემ, ზარბაზნების და ნაღმების დაშენის შემდეგ, იერიში მოიტანა მაგრამ მოვიგერიეთ. სტოხოდზე, კოველ-მანევიჩის რკინის გზაზე, მტრის მცირე რაზმებმა შემოგვიტიეს, მაგრამ ჩვენი სროლის გამო ჩირგვებში ჩაწვნენ, დაბინდებამდე იქ იყვნენ, ხოლო ღამე ისევ თავის თხრილებს დაუბრუნდნენ. მდ. ვერბის მიდამოებში, კრემენცის ჩრდილოეთით, ავსტრიელების საფრენი იძულებული იყო ძირს დაშვებულიყო; მფრინავი დავატყვევეთ. მდ. ბისტრიცაზე ჩვენმა მფრინავებმა მარჯვეთ დააყარეს ყუმბარები. მოპირდაპირის არტილერიას და საინტენდანტოს საწყობებს სოფ. პაველჩში. სტანისლავის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს სოფ. კოსმაჩისა და პოროგის მიდამოებში, ზოლოტვინის ჩრდილო-დასავლეთით.

**კავკასიის ასპარეზი.**

ყიგის მიდამოებში მტრის მზვერავმა რაზმებმა ჩვენს ზანაკთან მოახლოვება სცადეს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ოგნოტის მიდამოებში ოსმალებმა სოფ. შარაფხანი დასტოვეს. ოსმალები კვლავ ხმარობენ მსკდომარე ტყვიებს.

**რუმინეთის ასპარეზი.**

ტრანსილვანია. ტურ-სევერინის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუმინელების მცირე რაზმმა მტერზე იერიში მიიტანა, გაჰფანტა იგი, და ხელთ იგდო 3 ზარბაზანი.

დუნაის ასპარეზი. დობრუჯაში ჩვენმა ჯარმა კვლავ წაიწია სამხრეთისაკენ და ტაშაულის ტბის მარცხენა წვერს მიაღწია, სადაც ადგილ-ადგილ მდ. კორტალის გაღმა გავიდა.

11 ნოემბერი.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მთელ ბრძოლის ხაზზე ღამე სიწყნარე იყო.

სომას მიდამოებში, სენ-კრისტის მახლობლად მფრინავმა გიუმერმა გერმანელების საფრენი გაანადგურა, რიცხვით 22-ე, გიუმერი თვითონაც დაიღუპა. ინგლისის საზღვაო საფრენები ზეებრიუგეს მახლობლად გერმანელების ჰიდრო-აეროპლანების სადგური და ერთი ნაღმოსანი დააზიანეს.

**ჰააგა.** დეპუტატთა პალატამ დაადგინა: 909 წლის ლანდშტურმი მხოლოდ მას მერე გაიყვანონ, როდესაც 1917 წ. მილიციას გაიყვანენ.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: კანონპროექტი საყოველთაო შრომის ბეგრისა, რომელიც „მამულიშვილურ დამხმარე სამსახურად“ იწოდება 4 მუხლისაგან შესდგება. პირველი მუხლით ყველა ჯარში ჯარის გაწვეული 17—60 წლამდე ვალდებულია ომის დროს „მამულიშვილური დამხმარე სამსახური“ გასწიოს. მეორე მუხლით ასეთ სამსახურად ითვლება როგორც მთავრობისა და ადმინისტრატიულ დაწესებულებაში სამსახური, აგრეთვე სამხედრო-სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სასანიტარო, სამხედრო საეკონომიო თუ სხვა დაწესებულებებში მუშაობა, რასაც კი ომთან აქვს კავშირი და მოსახლეობის სურსათის საქმეს ეხმარება. ამ საქმის ხელმძღვანელობა სამხედრო სამინისტროსთან დაარსებულ სამხედრო ბიუროს ევალება. მესამე მუხლი განმარტავს, რომ კავშირის საბჭო გამოსცემს შესაფერ დადგენილებათ ამ კანონის განსახორციელებლად. ამ კანონის დამრღვევი 10 ათასი მარკით დაჯარიმდება, ან დაისჯება დატუსაღებით. მეოთხე მუხლში ნათქვამია, რომ ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა. კავშირის საბჭოს ევალება ამ კანონის გაუქმების ვადის გამოცხადება.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. მახლობელი აღმოსავლეთი. მდ. ცრნის მარჯვენა ნაპირზე სოფელი მუდიმირი სერბიელებმა დაიჭირეს. მოპირდაპირის 2 ცხარე იერიში მოიგერიეს.

მონასტირის ჩრდილოეთით მედგარი და ცხარე ბრძოლაა. მონასტირის დასავლეთით იტალიელებმა მიზოდონამდე მიაღწიეს.

**პარიზი.** სამხედრო მინისტრმა პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა, რომლის ძალითაც უნდა ხელახლა შეამოწმონ 1916 წ. 1 აპრილამდე ყველა თეთრბილეთიანი, როგორც მობილიზაციის დროსა ისე სამობილიზაციო.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

„რეჩი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: გერმანელთა სტრატეგია კვლავ განმეორებითი შეტევებს აწარმოებს. ამ გვარ შეტევებს გერმანელები ომის პირველი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ვისლაზე, აღმოსავლეთ პრუსიაში და გალიციაში. განმეორებითი შეტევის სახით გერმანელები აუარებელ ჯარს აწყვეტდნენ, ოღონდ კი სწორედ იმ ალაგას გაემარჯვათ. ჟიუს ველზე რუმინელებმა ფილიაშამდე დაიხიეს უკან. გამარჯვების მოსაპოვებლად გერმანელებმა აუარებელი ტეხნიკურ საშუალებას და დამხმარე ჯარს მოუყარეს თავი მცირე ვალახიაში. გერმანელების წადილია პრახოვის ველისა და ორშოვას შუა ახალი გზა გაიკვლიონ სტომბოლისკენ.

— მაკედონიაში მოკავშირეთა შეტევის შესახებ „დენ“ იმ აზრისაა, რომ იგი მხოლოდ ნაწილია ოპერაციისა, რომელიც მოკავშირეებმა გერმანელ ბულგარელთა გამარჯვების გასაბათილებლად უნდა აწარმოონ და მაშასადამე თავის თავად მაკედონიის შეტევის მნიშვნელობა არ არის დიდი.

— ფალკენჰაინის მდ. ჟიუს ველათ შეტევის შესახებ სამხედრო ავტორიტეტები იმ აზრისანი არიან, რომ გერმანელებს სურთ თავის მარჯვენა ფრთა წინ წასწიონ, ბრძოლის პირი შეამოკლონ და გაასწორონ.

— ერთი ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი რუმინიიდან იწერება: „რუმინიის მდგომარეობა სერიოზულია, რადგანაც ფალკენჰაინმა დიდი დამხმარე ძალები მიიღო.“

— გენ. ფალკენჰაინს ჯარისათვის: შემდეგი სიტყვებით მიუმართავს „რადაც უნდა დაგვიჯდეს რუმინია უნდა გავსრისოთ.“

— გაზ. „ტაიმსის“ მიმომხილველი, პოლკ. რეპინგტონი სწერს უეჭველია ფალკენჰაინი ზამთარშიაც განაგრძობს წინსვლას და ერთად ერთი ხსნა რუმინელებისთვის ის იქნება, რომ სადმე ან წინადან და ფრთებით მედგრად შეუტიოთ გერმანელ-ავსტრიელებსაო.

— გენ. ფალკენჰაინის განკარგულებაში ამ ჟამად 24 დივიზია ყოფილა და 6 დივიზიას კიდევ მოელის თურმე.

— „ბირჟევ. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი ფრანც იოსების გარდაცვალების შესახებ შემდეგს სწერს: „ავსტრიის ჯარის ტეხნიკა მაღლა სდგას, აფიცერთა კორპუსი კარგად არის მომზადებული, ჯარი დაკვირვებით გაწვრთნილნი, ომის პრინციპები თანამედროვეა, მაგრამ ყველა ამას ფასი ეკარგება, რადგანაც სახელმწიფოში სხვადა სხვა ერის შემაერთებელი პრიციპი არ არსებობს. როდესაც მე70თე წლებში გერმანიამ საფრანგეთი და ავსტრია დაამარცხა აშკარა გახდა, რომ შეიარაღებულმა ხალხმა დრო მოჭმულ ტიპის ჯარი დაამარცხა. ფრანც იოსების მთავრობა შეიარაღებულ ხალხის შექმნას შეუდგა. ამ გოლიათურ შრომის დროს ფრანც იოსები ტრაღიკულ მდგომარეობაში ჩავარდა: ის ჰქმნიდა შეიარაღებულ ხალხს და თვით „ხალხი“ კი არ იყო. ჯარს აგონებდნენ, რომ იგი ჰაბსბურგებს უნდა ემსახუროს. მონარქი ერცჰერცოგი ეროვნულ გენერლებს შემწეობით ინარჩუნებდნენ უფლებას, რითაც ერთობ მძიმე პირობებს ჰქმნიდნენ ჯარისთვის. ლოღიკური დასკვნა არის ის, რომ ავსტრიის ჯარი ზედი-ზედ მარცხდება და ფრანც იოსები სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როდესაც მისი შეიარაღებული ძალა, რომელსაც ტახტი ეყრდნობოდა, თითქმის სრულიად განადგურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** კრევოს ჩრდილო აღმოსავლეთით ზარბაზნების სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს რუსებზე მაგრამ მოგერებულნი იქნენ. სტანისლავის ჩრდილო დასავლეთით მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** კიღთან რუსებმა ოსმალთა იერიში მოიგერიეს ოგნატის მიმართულებით რუსებმა სოფ. შარაფხანი აიღეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** უმეტეს ნაწილებში საარტილერიო სროლაა ელზასში ერთ ალაგას ფრანგებმა იერიში მარჯვედ მიიტანეს და ტყვეები წამოასხეს.

**იტალიის ასპარეზი.** მცირე ბრძოლები სწარმოებს.

**რუმინიის ასპარეზი.** მცირე ვალახეთის დასავლეთის ნაწილში საზღვრის ახლო რუმინელებმა იერიში მიიტანეს და მოწინააღმდეგე ოდნავ უკან დაახევინეს. დობრუჯაში რუსებმა და რუმინელებმა რამდენადმე წინ წაიწიეს.

**მაკედონიის. ასპარეზი.** გენ. სარაილის ჯარის შეტევა გრძელდება. გერმანელებსა და ბულგარელებს დიდი ძალი მაშველი ჯარი მოუვლიათ და მოკავშირეებს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ; მაგრამ მიუხედავად ამისა მოკავშირეებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე სოფელი აიღეს.

## სამხედრო მიმოხილვა

როდესაც რუმინიის მთავრობა სწყვეტდა მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩარევის საკითხს, ზოგი რუმინელი გაზეთი ირწმუნებოდა, რომ რუმინეთის ომში ჩარევა დაგვიანებული იყო.

ეხლა, როდესაც რუმინიის მთელი ძალი და ღონე ომში არის დაბანდებული, აღმოჩნდა, რომ რამდენადმე მართალნი იყვნენ ის გაზეთები.

გერმანელებმა დაასწრეს მოკავშირეებს და რაც რომ ურმები და სხვა საზიდავი საშუალება ჰქონდათ რუმინელებს ერთი ორად მეტ ფასებში შეისყიდეს და გერმანიაში გაზიდეს; ეს ისეთი მასიური მოვლენა იყო, რომ ადამიანი იფიქრებდა თითქოს ან ურმებში იყო ხსნა გერმანელებისათვის და ყველას უკვირდა ამ ზომის „უაზრობა“.

მაგრამ როგორც კი რუმინიამ ომი გამოუცხადა გერმანიას, აღმოჩნდა, რომ თვით რუმინელებს აღარაფერი დარჩენოდათ, რადგანაც ყველაფერი გერმანელებს წინდაწინვე შეეძინათ.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საზიდავ საშუალებათა სიმცირეს რუმინიაში ეს ცხადია დღეს ყველასთვის და რუმინიაც რკინის გზათა ხშირ ქსელს მოკლებული, დიდ გაჭირვებას განიცდის.

რუმინიის მრეწველობა კი იმდენად განუვითარებელია, რომ მას არ შეუძლია მოკლე ხანში მიაწოდოს რუმინიის ჯარს საჭირო ურმები, საბარგო ავტომობილები და ზიდვის სხვა საშუალება.

მართალია მოკავშირეებმა ალბად მიიღეს შესაფერი ზომები, მაგრამ ვიდრე რუმინიის საჭიროებას სავსებით დააკმაყოფილებდნენ, ამასობაში დრო გადის და რუმინიის ჯარს კი მძიმე პირობებში უხდება მოქმედება.

რუმინიის სამხედრო ძლიერებას ამ მხარეს საგრძნობი ბრალი უდევს იმაში, რომ რუმინიის ჯარი-სუსტი აღმოჩნდა და ვერ გაუძლო იარაღითა და სურსათით უხვად აღჭურვილ გერმანელების ჯარსა და ნელ ნელა უკან იხევს.

შვერელი.

## ქართული ენის მდგომარეობა საქართველოში.

ჩვენში ყველა უკმაყოფილებას აცხადებს დაბალ და საშუალო სასწავლებლებში სამშობლო, ქართული ენის შევიწროების გამო. სასულიერო და საერო პირნი ხმა შეწუხებულად ჰგმობენ ასეთ რუსიფიკაციას, რაიცა ეწინააღმდეგება პედაგოგიკის საღ მოთხოვნილებას.

ერთი შეხედვით ადამიანს ეგონება, რომ, რადგან ასეთი თავგამოდება ჩვენში ეროვნული ინტერესების დასაცველად პრესასა და საზოგადოებაში, თითქოს ყველამ ღრმად შეიგნო დედა-ენის საჭიროება და უანგაროთ იწამა იგიო, მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არ არის.

ვინც ჩვენს ცხოვრებას დაჰკვირვებია, იგი ნათლად დაინახავდა საწინააღმდეგო, ფრიად დამაღონებელ ფაქტებს.

ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის გიმნაზიებში, საქართველოში ქართულ ენას აქვს დათმობილი განსაზღვრული გაკვეთილები: ქართული ენის მასწავლებლებათ, რასაკვირველია, ქართველებს იწვევენ, მაგრამ ისინი შტატ გარეშედ ითვლებიან. და აი, ქართულის მასწავლებელი, ქართველი კაცი, რომელსაც უნდა უყვარდეს თავისი დედა-ენა, თავისი ქვეყნის მოზარდი თაობა, როგორც ქართული ენის მასწავლებელი მოკლებულია რა სახელმწიფო სასწავლებლის მასწავლებლის უფლებებს, ამ უკანასკნელთა მოსაპოებლათ, თავს ანებებს ქართული ენის მასწავლებლობას, ზურგს აქცევს ქართველ მოზარდ ახალგაზრდობას, დედა-ენის სწავლების საყვარელ საქმეს და გადადის სხვა საგნების მასწავლებლათ, რის მაგალითებიც არა ერთი და ორი ყოფილა.

სამწუხაროდ თვით ქართული ენის სწავლების საქმეს მთავრობის გიმნაზიებში ბევრი ქართველი მშობელიც ელმაცერათ უყურებს. რომ ეს ასე არ იყოს, ქართველობა მშობელთა წრეების სახით ხმას ამოიღებდა და მოითხოვდა, რომ ქართული ენის მასწავლებლები აღეჭურვათ იმავე უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ სხვა საგნების მასწავლებლები იმავე სასწავლებლებში. მაგრამ, არამც თუ ამის მსგავს რამეს ვხედავთ, არამედ იგივე მშობლები ხშირათ პედაგოგიურ საბჭოებს სთხოვენ, ქართულს ნუ ასწავლით, ნუ მოგვიცდენთ ამისთვის ბავშებსო და ხშირად თავიანთ შვილებს უშლიან კიდეც დედა-ენის სწავლას, რის მაგალითებიც მრავალი ყოფილა.

რაღა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ქართული ენის სწავლება, არამც თუ სათანადოთაა დაყენებული ჩვენი ქვეყნის საშუალო და სასულიერო სასწავლებლებში

და თუ ითმენენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სამოსწავლო მთავრობა და ის მასწავლებლები, რომელნიც პირველის ლოცვა კურთხევით მოევლინებიან ხოლმე მრავალტანჯულ და წამებულ ქართულ ენას, ამ უკანასკნელის სამასწავლებლო თანამდებობას სთვლიან მარტოოდენ საჯამაგირო ადგილათ.

ამ ნიადაგზე ხანგამოშვებით თავს იჩენს ხოლმე მეტოქეობა, რის გამოც საიდუმლო დასმენა, დაბეზღება, ინტრიგები და აყალმაყალი ჩვეულებრივ მოვლენათ იქცევა.

აი, ახლაც, აქ, ქუთაისში ჩვენი ცხვირის წინ ფრიად დამაღონებელ სურათს ვხედავთ.

სასულიერო სემინარიაში საჭირო შეიქნა ქართული ენის მასწავლებელი. მაშასადამე საჭირო გახდა ამ ადგილზე მოწვეულიყო ქართული ენის კარგათ მცოდნე პირი, რათა, მას თავის მოვალეობა ღირსეულათ შეესრულებია. ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გიორგი ამ გონიერულ მოსაზრებას დაადგა, მაგრამ აჰა, თავი წამოყო შენ ჩემობამ ჯამაგირის მითვისების ნიადაგზე. მღვდელ მონაზონი შუშანიაც არ დასჯერდა სამღვთო სჯულის გაკვეთილებს და მოიწადინა ქართული ენის მასწავლებლობაც. მან ეპისკოპოსი გიორგისა და სამღვდელოების წარმომადგენელთა გარეშე, მათდა დაუკითხავად და მათი სურვილის წინააღმდეგ, გაჩარხა საქმე და სურს სამღრთო სჯულის მასწავლებლობასთან ერთად იკისროს ქართული ენის მასწავლებლობის მძიმე უღელიც. ამმის შეუფერებელ განზრახვას სამართლიანად წინააღუდგნენ სამღვდელოების წარმომადგენელნი, რომლებმაც შუშანიას მოქმედებაში დაინახეს ანგარების მოყვარეობა. სასწავლებლის ზედამხედველმა შეურაცხყოფილათ სცნო თავი, შეადგინა ოქმი და უნდა ატყდეს დავიდარაბა.

სურათი ასეთია: იმ სასწავლებლის საქმეებში, რომელ სასწავლებელშიც უნდა აღიზარდოს ჩვენი სამღვდელოების მომავალი თაობა, ერთის მხრით სდგანან ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გიორგი და სამღვდელოების მიერ ნდობით აღჭურვილნი პირნი, რომელნიც მოითხოვენ სამშობლო, ქართული ენის სწავლებას სათანადო ნიადაგზე დაყენებას, და მეორე მხრით სასწავლებლის ზედამხედველი, მისი თანამოაზრე მასწავლებელნი და ბერი მღვდელმონაზონი შუშანია. გამეფდა მათ შორის ანტაგონიზმი და ბრძოლამ აშკარა ხასიათი მიიღო ეს პირველი მაგალითი არ არის ჩვენს ბედშავ ცხოვრებაში.

და განა ასეთი მაგალითები ცოტა ყოფილა და იქნება? და განა ასეთ პირობებში ქართული ენის სწავლების საქმე ჩვენს სასწავლებლებში სათანადო ნიადაგზე დადგება? და განა ეს აშკარა დევნა არ არის ქართული ენისა საქართველოში? სავალალოა ასეთი მდგომარეობა.

ა. კლარჯეთელი.

## შტიურმერი და ტრეპოვი.

დეპეშამ ცნობა მოგვიტანა, რომ შტიურმერი პირველ მინისტრის თანამდებობიდან გადაუყენებიათ და კაბინეტის მეთაურობა ა. ფ. ტრეპოვისთვის მიუნდვიათ.

ვინც რუსეთის შინაგან ცხოვრების უკანასკნელ ხანას დაჰკვირვებია, შეატყობდა, რომ ჰოფმეისტერ შტიურმერის მდგომარეობა ბოლო ხანს ერთობ შერყეული; ასე რომ მისი გადაყენება უნდა ჩაითვალოს ლოღიკურ შედეგად იმ უკმაყოფილებისა, რომელსაც ყოფილი პრემიერი იწვევდა რუსეთის ხალხში.

თუმცა ცოტა არ იყოს ეს უკანასკნელი სიტყვები სმენას ეუცხოვება, რადგანაც დღემდე მთავრობა არ აქცევდა იმას ყურადღებას, ხალხს მოსწონდა თუ არა რომელიმე მინისტრის მოქმედება, მაგრამ დღეს, როდესაც სათათბიროში ხალხის წარმომადგენლებმა ერთხმად მოითხოვეს ომის ბოლომდის გაგრძელება, სპეკულიაციის და შინაგან ცხოვრების სხვა უწესრიგობის მოსასპობად ზომების მიღება, და ამავე დროს კი უკმაყოფილება გამოუხადეს ბ. ვ. შტიურმერის მთავრობას, ხალხის წარმომადგენლების დიდმა უმრავლესობამ მთავრობის პოლიტიკური კურსი არამც თუ უსარგებლოდ, მავნებლადაც გამოაცხადა.

ამ საკითხის გამო თვით მთავრობის წრეებშიაც რყევა იყო და ორმა მინისტრმა შუვაევმა და გრიგოროვიჩმა სათათბიროს ხელი გაუწოდეს, ხოლო შუვაევმა მთელი სათათბიროს თანდასწრებით «მადლობა» უთხრა პ. ნ. მილიუკოვს, რომელმაც ყველაზე ძალიან ამხილა ბ. ვ. შტიურმერის პოლიტიკა, ყველაზე მაღლა ასწია რუსეთის შინაგან ცხოვრების სიდუხჭირეს ფარდა და ყველაზე დაჟინებით მოითხოვა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში სათათბიროს ნდობით აღჭურვილ ახალი ძალების შეშვება.

ამის შემდეგ რასაკვირველია პირდაპირ შეუძლებელი გახდა ჰოფმეისტერ შტიურმერის მთავრობის სათავეში დარჩენა.

მაგრამ იბადება საკითხი, შტიურმერის გადაყენებისთანავე ერთად, იქნება თუ არა შეცვლილი მთავრობის საერთო შინაური პოლიტიკა, თუ შტიურმერის ადგილზე „სათათბიროს თანამგრძნობ“ ა. ფ. ტრეპოვის დანიშვნით დაკმაყოფილდებიან და რუსეთის შინაგან ცხოვრებაში კვლავ ადგილი ექნება პრესის დევნას, დეპუტატების სიტყვათა ცენზურას, და ადმინისტრაციის უმოქმედობას სპეკულიაციის წინააღმდეგ.

სათათბირომ მთავრობას მოსთხოვა ისეთი პოლიტიკური კურსი, რომელიც ემსახურებოდა ომის წარმოებას გამარჯვებამდის; ხოლო რომ ომი მართლაც გამარჯვებით დაგვირგვინდეს მათ საჭიროდ სცნეს: თავდაპირველად შეასუსტონ ცენზურა, რათა პრესამ თავისუფლად აღწეროს სახელმწიფოს ცხოვრების უსწორ მასწორობანი და შეძლება მიეცეს მას დაურიდებლივ აღნიშნოს უწესრიგობის ნამდვილი მიზეზები, ამასთანავე ერთად მთავრობამ ხისტიკი ზომები უნდა მიიღოს სიძვირისა, სპეკულაცია—მექრთამეობის წინააღმდეგ.

უმაღლესი მთავრობის ბრძანებით სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმე ა. ფ. ტრეპოვს ჩაბარდა.

რამდენად შეეთანხმება გზათა მინისტრად ნამყოფ ა. ფ. ტრეპოვის პოლიტიკა სათათბიროს და მასთან ერთად ხალხის სურვილს, ამის თქმა ჯერჯერობით მეტად ძნელია, ვინაიდგან თვით ტრეპოვის პოლიტიკური სახე გარკვეულად არა სჩანს და არავის არ შეუძლიან დამტკიცებით სთქვას, რომ მისი დანიშვნა მთავრობის პოლიტიკურ კურსის ერთიან შეცვლას მოასწავებდეს.

მართალია, მინისტრთა საბჭოში ის „სათათბიროს თანამშრომლობის“ მომხრე იყო მართალია მან ერთი საქმის გამო სთქვა სათათბიროს კულუარებში, რომ იგი ისე მოიქცეოდა, როგორც ამას სათათბირო დაადგენდა;

გზათა მიმოსვლის მინისტრად [illegible] დროს მან შეადგინა მურმანის რკინის გზის პროექტი, რომელი [illegible] ჩრდილოეთ ოკეანის [illegible] რებდა, მაგრამ ამ [illegible] ცხოვრებამ წამოაყენა, და არაფერი პოლიტიკური აღმაფრენა არ იყო საჭირო ამ პროექტის შესადგენლად. მეორე მისი პროექტი იყო: დროდადრო 10 15 დღით მოძრაობის შეწყვეტა რკინის გზებზე, რომ ამ ხანში სურსათი შეეზიდათ სატახტო ქალაქებში; ამ პროექტმა სასურსათო კრიზისი ვერ მოსპო და, პირიქით, მიმოსვლა გააძნელა და სურსათის გადაზიდვა უფრო ცუდ პირობებში ჩააყენა.

რკინის გზების გაყვანაში ა. ფ. ტრეპოვმა მხარი დაუჭირა მთავრობის ინიციატივას საზოგადოების ინიციატივის წინააღმდეგ; სახელმწიფოს წარმატების ერთერთ საშუალების რკინიგზების გაფართოების ბედი, ტრეპოვის აზრით, ისევ კანცელარიის მოხელეებისთვის უნდა ჩაებარებიათ და საზოგადოებრივი ინიციატივა კი უნდა უარეყოთ;

ცხადზე უცხადესი კი არის, რომ კერძო საქციონერო საზოგადოებას უფრო ადვილად და მალე გაყავს გზები, ვიდრე ყველა საქმის გაჭიანურებას მიჩვეულ კანცელარიის მოხელეებს. ამნაირად, ბევრი არაფერი შეცვლილა ხოლო უფრო „მემარცხენე“ მინისტრს ჩააბარეს სახელმწიფოს ბედი; მეტი არაფერი და ისიც ისეთ მემარცხენეს რომელსაც დღემდე სახელმწიფოებრივი სიბრძნე ბევრ არაფერში გამოუჩენია.

ქ. კობახიძე.

# ახალი ამბავი.

**სათათბირო და სახელ. საბჭოს დათხოვა.**

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო საბჭო და სათათბირო 11 გიორგობისთვიდან 19 გიორგობისთვემდე დათხოვნილია

**ახალი მინისტრი.**

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: უმაღლესის ბრძანებით გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი გოფმეისტერი ნერატოვი, რომელიც 11 გიორგობისთვიდან ახალ თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

---

ქუთაისის ქართველ ისრაელთა ახალგაზრდობის ერთმა წრემ უკვე აღძრა შუამდგომლობა ქართ. შ. წ. გ. საზოგადოების წინაშე ისრაელთა უბანში სამკითხველოს დაარსების შესახებ ქ. შ. წ. გ. საზოგადოებამ თავის მხრივ სთხოვა გუბერნატორს ამ სამკითხველოს პასუხის მგებელ გამგედ დანიშნოს ბ-ნი სიმონ მეყინული.

✦ ხვალ 16 ნოემბერს დილის მატარებლით თბილისიდან მობრძანდებიან ქუთაისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი, ეგზარქოსი საქართველოისა და სინოდალურ კანტორის პროკურორი მ. გ. პაპოვი. საპატიო სტუმრები დაესწრებიან ამავე დღეს დანიშნულს პარაკლისს და სწავლის დაწყებას ახალ გახსნილ სემინარიის კლასებში. ხსენებულ კლასებში სწავლა უნდა დაწყებულიყო დღეს, მაგრამ, თანახმად ეგზარხოსის დეპეშისა გადაიდო ხვალისთვის.

✦ მთავრობის აგრონომს ა. მ. ვასილევსკის დაბა ხობში წარუდგა დეპუტაცია ოთხი საზოგადოების და სთხოვა, რომ ზემო-აღნიშნულ დაბაში გახსნილ იქნას სახოფლო სამეურნეო შკოლა, რომლის შენობის ასაშენებლად საზოგადოება პირდება უფასოთ ადგილის დათმობას და ასაშენებელ ხარჯების ნაწილის გადახდას.

✦ ორ ოქტომბრის ცნობით ბრძოლის ველზე დაუჭრიათ პორუჩიკი ილია მახარაძე.

✦ მტერთან შამაცობისათვის დააჯილდოვეს შემდეგი ქართველი ოფიცრები: წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენით პოდპოლკოვნიკი, ალ. ჩიქოვანი. მეორე ხარისხის წმ. სტანისლავას ჯვრით შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ბეჟანიშვილი.

✦ სოჩის მთებში მეხორბლეებს აღმოუჩენიათ მარმარილოს აუზი, როგორც ამბობენ ეს აუზი ყოფილა ძველად ჩინებული საბანაო ადგილი.

✦ კვირას, 13 ნოემბერს ქალაქის თეატრში ია ეკალაძე ცინცაძემ და ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხეს ლექციები. პირველმა შემდეგ თემაზე. „ცხოვრება და ხელოვნება“ ხოლო მეორემ: „მდგომარეობა ქართველი გლეხისა“ ევროპიელ მოგზაურთა აწერით“. ორივე ლექცია ფრიად შინაარსიანი გამოდგა, და მდაბიო ვასაგები ენით წაკითხული. ხალხი ბევრი დაესწრო.

✦ კავკასიის ქალაქთა კავშირის განყოფილებამ მოსკოვის მთავარ რწმუნებულის მოადგილისაგან ცნობა მიიღო, რომ აღნიშნულ ქალაქთა კავშირს გადმოეგზავნა ორი მილიონი მანეთი კომიტეტის საჭიროებისათვის.

✦ სათავქო საინტენდანტო სამმართველომ, კავკასიის ქალაქთა კავშირის საჭიროებისათვის ხსენებულ კავშირს სესხათ მისცა 2,000 ფუთი პურის ფქვილი.

✦ სოფ. ვანში (ქუთ. მაზრა) გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოება სახელწოდებით ,,ვანის კოოპერატივი''. გამგეობაში არჩეულნი არიან: გედეონ მეფარიშვილი, არჩილ სულავა, გიორგი ნამიჩეიშვილი, დიმიტრი გელთაძე და მიხეილ რამიშვილი.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი ,,ნაკადულის'' მეცხრე ნომერი მოზრდილთათვის ხოლო მე-17-და მე. 18 მცირე-წლოვანთათვის ჟურნალები ჩვეულებრივ სუფთად და შინარსიანათ არის გამოცემული.

✦ სწავლა-განათლების მინისტრი განუმარტავს სახალხო სკოლების ინსპექტორებს, რომ ამიერიდან გადმოხვეწილთა და ომში გაწვეულ პირთა შვილების მიღება უნდა სწარმოებდეს ყოველივე ნორმის გარეშე.

✦ ჭალადიდში (სენ. მაზრა.) ყაჩაღებთან შეტაკების დროს პოლიციელებს მოუკლავთ ყაჩაღი პილა შალათია.

✦ უვარგისი საპონი. ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგემ ანალიზი გაუკეთა და უვარგისი აღმოჩნდა შემდეგი პირების მიერ დამზადებული საპონი: გაბრელ გაბალუაშვილის, პავლე ბჟალავასი და ივანე კილარჯოვის.

✦ ქიმიურ ლაბორატორიის გამგის გადმოცემით აქ გაუხსნია აბრამ იაკობისძე ბუზიაშვილს საპნის ქარხანა, რომელშიაც თურმე კარგი ღირსების საპონს ამზადებენ.

✦ ქალაქის თვითმართველობამ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დახმარების დარიგებას ორშაბათიდან შეუდგა.

✦ სოფელ მესხეთში (ქუთ. მაზრა.) ამ რამოდენიმე დღის წინათ კერძო ინტერესით, ღამით წაუკიდებიათ ცეცხლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფრომ კუხიანიძის სასიმინდისათვის, რომელიც მთლად დაიწვა ზარალი 700 მ. არ ემეტება.

✦ „რეგულიატორის“ გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საკოპერაციო კურსები, რომელიც ოცი ნოემბრისათვის იყო დანიშნული დაიწყება 25 ნოემბრიდან და გაგრძელდება 10 დეკემბრამდე, მსურველებმა წერილობითი განცხადება აუცილებლად მეცადინეობის დაწყებამდი უნდა გამოგზავნონ, რომ საშუალება ექნეს გამგეობას მოამზადოს საკმაო სამეცადინო მასალები, და ამცნოს სურვილი მათ მიღების შესახებ.

### შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის უკანასკნელ № 484-ში შეცდომით ლექსის მეორე ნაწილში მეორე სვეტის პირველ სტრიქონზე დაბეჭდილია „დარჩა ვაჟი მარტოთ მაროთ საბრალოთ გულ დანაკოდი“ უნდა იყოს დარჩა ვაჟი მარტოთ მარტო საბრალოთ გულდანაკოდი. ფელეტონის უკანასკნელ სვეტში ლექსის „გლეხი ილო“ მე 16 სტრიქონში დაბეჭდილია „რკინა რკინით გაალაფა“ უნდა იყოს რკინა რკინით გაალაფა.

## კავკასიის ქრონიკა.

— **ბათუმში** 22 ნოემბერს გაიმართება სალიტერატურო საღამო ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად.

— იქიდანვე იწერებიან, რომ ქალაქის გამგეობის წევრს საბახტარაშვილს გამგეობაში მოხსენება შეაქვს, რომ ერთ ქალაქის ქუჩას და ერთ ქალაქის სასწავლებელს ბარათაშვილის სახელი დაერქვასო.

— იქიდანვე გვაცნობეს, რომ ციხის კამენდატს სამ ნოემბერს ბძანება გამოუცია: რომ ქალაქში საღამოობით სიბნელე იყოს; დაღამდება თუ არა ფანჯრებზე შავი ფარდები ჩამოაფარონ, არსაიდან სინათლე რომ არ ჩანდეს. ქუჩის ფარნებს ზღვის მხრით ფარი უნდა გაუკეთდეს; სახლებში ელექტრონული განათება რაც შეიძლება პატარა ლამპებით უნდა მოხდეს; ავტომობილებმა დიდრონი აცეტილინის ფარნების მაგიერ პატარა ფარნები უნდა იხმარონ.

დამნაშავე ამ ბრძანების დარღვევაში 3000 მანეთის დაჯარიმებით ან სამი თვის დაპატიმრებით დაისჯება.

**ხონი.** ყაჩაღთა თარეშმა ყოველივე საზღვარს გადააცილა. სამტრედიიდან ხონში მიმავალ დელიჟანს, რომელსაც ორი დარაჯი მიზდევდა, ყაჩაღები დაეცნენ და ორი მგზავრი და ერთი ცხენი მოკლეს. ამბობენ დარაჯებმა გადმოხტნენ დელიჟანიდან და მიიმალნენ.

## ქალაქის თვითმართველობის ახალი პროექტი.

სახელმწიფო სათათბიროს საკუთარ კამისიაში ახალი ქალაქის თვითმართებლობის პროექტის განხილვა სწარმოებს. დაასრულეს წესდების ის ნაწილი, რომელიც ცენზს ეხება, ცენზის რაოდენობა დაკლებულია: სატახტო ქალაქებისთვის მიცემულია უძრავი მამული შეფასებული არა ნაკლებ 1500 მანეთისა, იმ ქალაქებში, სადაც ასიათასი მცხოვრებია, ცენზს აძლევს 1000 მანეთის ღირებულება. ასიათასზე ნაკლები მცხოვრებიან ქალაქებში 750 მამულის ღირებულება; ორმოცდა ათი ათას მცხოვრებიან ქალაქებში ცენზი უდრის 500 მანეთს. ათი ათასზე ნაკლები მცხოვრებიან ქალაქში ცენზი უდრის 250 მანეთს. ამის გარდა ბინის გადასახადიც აძლევს ცენზს, რაც შეეხება ვაჭრობაზე გადასახადს—„პრომისლოვი“ სატახტო ქალაქებში გადასახადი უნდა უდრიდეს 500 მანეთს და სხვა ქალაქებში გადასახადის რაოდენობა 10 მანეთიდან 50 მანეთამდეა.

„ზ. რ.“

### ლიტოველთა და კურლანდიელთა დამოუკიდებელნი სამეფონი.

გერმანიის გაზეთები იწერებიან, რომ რუსეთის პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ, ბერლინში ორ ახალ სამეფოს დაარსების საკითხი აღიძრა: ლიტოველთა და კურლანდიელთა დამოუკიდებლობა.

პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ ტოპოგრაფიული მოსაზრებით ლიტოველთა სამეფო პრუსიას ვერაგზით ვერ შეუერთდებოდა. ამის გამო ლიტოველთა სამეფოს დამოუკიდებლობა ახლო მომავალში გამოცხადდება. ლიტოველთა სამეფოს ტახტზე გერმანიას სურს ერთ ერთი გერმანელი პრინცი იყოს არჩეული, მაგრამ ვინ იქნება ჯერ ამას არ ასახელებენ, პოლიტიკური მოსაზრებითვე კურლანდიის დამოუკიდებულება იქნება გამოცხადებული.

ეს ორივე ახალი სამეფონი პოლონელთა სამეფოსთან ერთად, ცენტრალურ სახელმწიფოთა კავშირში იქნებიან ჩარიცხული.

## აჩირებული წესი.

რკინის გზის საშუალო და დიდ სადგურებზე პირდაპირ ადამიანის პირადობის დამამცირებელი წესებია შემოღებული. ასეთ სადგურებზე ბილეთების ასაღები და დროებით გასაჩერებელი ბინა მგზავრებისათვის ორ ნაწილად არის გაყოფილი.

სადგურის ადმინისტრაცია ჟანდარმების საშუალებით ამ ორი „ბუფეტის“ შესასვლელ კარებს გულმოდგინეთ იცავენ. თუ გინდათ გრაფის შვილი იყავით თქვენ თუ „საქორწინე“ ტანისამოსი არ გაცვიათ და კოკწიათ არ ხართ გამოწყობილი მეორე კლასის „ბუფეტში“ ვერ შებრძანდებით და თუ როგორმე უნებლიეთ ცდება ჩაიდინეთ და იქ შესვლა მოახერხეთ, ესევე მცველები მაშინ გამოგაბრძანებენ კარში.

ყველაზე უფრო გასაკვირი ის არის, რომ ადამიანის პირადობის დამამცირებელი ამ „სცენას“ ინტელიგენცია ხედავს და „პროტესტის“ სახით ერთ კრინტსაც არა სძრავს ხოლმე.

ასეთ მცირე რამეში განსხვავებაც დიდათ უკოდავს ჩვენს მდაბიო ხალხს გულს. ძველებური ბატონ-ყმობის ნიშნებია ეს. აჩირებული წესი მაშ რა არის?

მ. ბუაჩიძე.

## პროვინციის ცხოვრება

— —

1914 წლიდან ატეხილმა ქარტეხილმა დიდი გაჭირვება მოუტანია სოფლებს, ახალგაზრდობა რომელიც არის ერთად-ერთი ბურჯი სოფლისა ბრძოლის ველზედ იბრძვის. სოფელი დარჩენილია მოხუცებული კაცებისა და ქალების ამარა, ღღევანდელმა ომმა როგორი სიძვირეც გამოიწვია ქვეყანად ყველამ იცის, მაგრამ სიძვირე უფრო საგრძნობია სოფლად.

სოფელი, როგორც მოწყვეტილი ქალაქებს, მუდამ დრამად განიცდის უგზოუკვლობის ნავლებობას; ქალაქს, რომ საჭმელი, სასმელი, ასანთი, საცმელი და სხვა საჭიროებანი შემოედგა, მთავრობის და კერძო დაწესებულებების პირნი ყოველ საშუალებას ხმარობს დანაკლისის ასანაზღაურებლად, სოფელი კი ღვთის ანაბარაა მიგდებული, მისთვის არავინ ზრუნავს. ყურადღებას არავინ აქცევს.

ავიღოთ თუნდა ერთი ჩვენი ქვეყნის მხარე—რაჭა; ადგილის სივიწროვეს ყველაზედ მეტად რაჭველი გლეხი განიცდის. თუ ბედმა უმუხთლა რაჭველს და დაუდგა მოუსავლიანი წელიწადი, მას მთელის სიმშილით სიკვდილი; აი ამიტომაა უმთავრესად რომ მთელი რაჭის ახალგაზრდობა მიილტვოდა და მიილტვის გარედ—ქალაქად სამოვნელად, რომ ოჯახი გასაჭირიდან გამოიხსნას. მაგრამ ეს ახალგაზრდანი აღარ გასვლავან; როგორც ზემოთ მოგახსენეთ ბრძოლის ველზედ არიან გაყვანილნი.

რაჭას, რომ გზები მისცა მაშინ იგი უკეთესს მდგომარეობაში იქნებოდა, ვინაიდან ოსეთიდან სიმინდი მუდამ შემოვიდოდა. ახლა კი ერთად-ერთი გზა „მამისონის უღელტეხილი“ თოვლით არის დაფარული; ოსეთიდან გზა დაკავებულია და მიტომ სიმინდის გადმოტანა გაძნელდა რაჭაში.

და ასეთ გაჭირვებაში ადგილობრივი მთავრობა რომ ყურადღებას აქცევდეს რაჭას, იქნება ცოტათი მაინც გაადვილდებოდა გაჭირვებული ცხოვრება. ნივთიერად ილაჯ გაწყვეტილი რაჭველი გლეხკაცობას დარაჯი ჯალათივით დასდგომია თავს, ·მათრახით ხელში დღის გინებით ეუბნება: აბა ჩქარა შევბი ურემი და ჩემი ცხენის საჭმელი თავა-სიმინდი ამ ადგილიდან იქ გადამიტანეო.

ასეთ მაგალითს მოგიყვებით ჩემი თვალით ნანახს, ჩემივე ყურით გაგონილს: რაჭაში კარგათ ცნობილ ვაჭარს—ჩასუქებულს ბერუჩევს ქუთაისიდან გამოუგზავნია სიმინდი რაჭის მაზრის დარაჯებისთვის, ნაწილი სიმინდისა დაუტოვებიათ ს. სადმელში, რომელიც უთვალავ ნაყიდი ამბროლაურის დარაჯების მიერ. პირველ ნოემბერს ამბროლაურის და რაჭების უფროსს („ურიადნიკს“) გაუცია ბრძანება, რათა ის სიმინდი ხვალვე ს. სადმელის გლეხებმა გაეტანათ ამბროლაურში გათენდა მეორე დღეც ს. სადმელის ერთი დარაჯთაგანი, მურცვხალაძე, დადგა ფეხზედ, დანახვისთანავე ეცა ერთ გლეხს ლანძღვა მუქარით: „ჩქარა, წისქვილს მიახეთე თავი, ჩვენი სიმინდი წაიღე ამბროლაურში“-ო,— და იქვე უბრძანა მამასახლისის თანაშემწეს: „აბა პომოშნიკო! თვალის დახამხამებაზედ ურემი იშოვე, არ დააგვიანო, რათა ბატონი ურიადნიკი არ გაწყრეს“ ო.

იქ მდგომმა ხალხმა დარაჯს შენიშნეს უწესოთ მოქცევა გლეხისადმი, მაგრამ ამაოდ, დარაჯმა თავისი კანონები წამოაყენა, რომ სოფელი ვალდებულია მათ სამსახურში და რისთვის? მისთვის რომ ის „კაზიონი კაცია“, სტრაჟნიკია“, ხოლო გლეხების გამომქომაგებელი ყველა „მტრიონია“. მერე აღარ იკითხავთ რა დროს უთვილა სოფელი ვალდებული? იმ დროს როცა სოფელი უკაცოდ არის დარჩენილი გაძარცვული ხვნა-თესვა ფარცხვაა, დღეში ფუთი ხარი 8—9 მნ. მუშა კაცი 2—3 მანეთი ღირს; ასეთ გაჭირვების დროს დარაჯები „ეგზეკუციის“ სახით ერეკებიან გლეხებს თავის კერძო საქმის გასაკეთებლათ, მუქთად, უფასოდ.

მთავრობისაგან დახმარება სოფლისადმი ასეთი უნდა.

ქართლელი.

## რუსეთი.

უწმ. სინოდს დაუდგენი მონასტრების მთელი თავისუფალი თანხა სამხედრო სესხის ობლიგაციების შეძენაში დააბანდოს.

— გზათა მიმოსვლის სამინისტროს გაზ „კოლოკოლი“ თავის ორგანად გაუხდია და ამ მიზნით ხსენებულ გაზეთის აქციები 50 ათასი მანეთის უკვე იყიდნეს.

— ბაქოში მეწისქვილეებს ფუთი ფქვილისათვის 1 მან. მოუმატებია.

— ვლადივოსტოკიდან იტობინებიან, რომ ბოგუსლავის ქარხნებთან მეტეორი (ღვთის ცეცხლი) ჩამოვარდნილა. მეტეორი ცერად დაცემულა მიწაზე, დიდვარდნისას აუშვია ოხშივარი, რომელიც უკან ცაში აბრუნებულა და 15 წამის შემდეგ გაფანტულა.

— პეტროგრადის ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტეს დეპეშით მისალმებოდნენ შუვაევსა და გრიგოროვიჩს. ქალაქის თავმა ლელიოვმა საბჭოს წინადადება მისცა მილოცვის დეპეშა გაეგზავნათ აგრეთვე ა. ფ. ტრეპოვისთვის გურმანის რკინიგზის დასრულების გამო. წინადადება 36 ხმით წინააღმდეგ 32 ის არ მიიღეს. ერთმა ხმოსნმა განაცხადა: სჯობია არ გაუგზავნოთ დეპეში რადგან ნახევარი საბჭო ტრეპოვს არ თანაუგრძნობს“-ო.

— რუსული გაზეთების ცნობით შუვაევსა და გრიგოროვიჩს სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვის გამო რუსეთის რამდენიმე ქალაქიდან თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნეს.

— ა. ფ. ტრეპოვს მოუთხოვია მოხსენება ბეჭვდითი სიტყვის მდგომარეობის შესახებ და საცენზურო პირობების შემცირება საჭიროდ უცვნია; ხოლო საკანონმდებლო დაწესებულებების ანგარიშების ცენზურა კი საჭიროდ არ უცვნია.

— ცნობილ ეკონომისტის მასლოვის მოსკოვიდან გაძევება არ მოხდა, რადგანაც განკარგულება ამის შესახებ მოუხსნიათ.

როდესაც უმაღლეს ხელმძღვანელ წრეებში გაუგიათ, რომ ექვსი მინისტრის სურვილს „სათათბიროს თანამშრომლობის“ შესახებ, მხოლოდ ბ. ვ. შტიურმერი აღუდგა წინ, მაშინვე გადაუწყვეტიათ ყოფილ პრემიერის ბედი.

## უცხოეთი.

— საბერძნეთის მთავრობას მოკავშირეთა წარმომადგენელმა ადმირალმა ფურნემ, როგორც ვიცით, კატეგორიულად მოსთხოვა ცენტრალ კოალიციის სახელმწიფოების წარმომადგენლები საბერძნეთიდან გაეძევებინა. ამაზე საბერძნეთის მთავრობამ უარით უპასუხა, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ეს საერთაშორისო უფლებებს ეწინააღმდეგებაო. ადმირალმა ეს განმარტება არ მიიღო და მოთხოვნილება განუმეორა; მაშინ საბერძნეთის მთავრობა დაუმორჩილდა და გერმანიისა და ავსტრიის წარმომადგენლები გააძევა. ამ სახელმწიფოებმა პროტესტი განაცხადეს.

— საბერძნეთის საგარეო მინისტრმა ზოლოვსტამ მოკავშირეთა ძალდატანებით უკვე განთავისუფლა ის ბერძენი აფიცრები, რომლებიც ვენიზელოსის ჯარში სამსახურისათვის საბერძნეთის მთავრობამ დაატუსაღა.

— მოკავშირეებმა საბერძნეთის მთავრობას მოსთხოვეს, რომ შესწყვიტონ დევნა, იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ვენიზელოსის ჯარში ჩასაწერად პროპაგანდას ეწვიან.

— მოკავშირეებმა შვეიცარიას მოსთხოვეს, რომ შვეიცარიამ ისეთივე უპირატესობა მიანიჭოს შვეიცარიაში მოკავშირეებს როგორითაც გერმანია სარგებლობს და მოკავშირეთა სახელმწიფოებიდან გაზიდული ზოგიერთი საქონელი არგაუშვას გერმანიაში. ამაზე შვეიცარიას უპასუხნია. მოკავშირეთა და შვეიცარიას შორის შარშან დადებულ ხელ შეკრულებაში ამის შესახებ არაფერია მოხსენებულიო.

მეუღლე კნ. მარიამ მაჭავარიანის ასული წულუკიძისა შვილებით, დედა კნ. მარიამი კონსტანტინეს ასული და ამინაცვალი თავ[illegible], ძმები: სანდრო და ანდრო წულუკიძენი, [illegible] წულუკიძე და თედოსია ქუთათელაძისა. სიდედრი ვალერია დავითის ასული და სიმამრი კირილე დიმიტრის ძე მაჭავარიანები და სიძე ილიკო მოსეს ძე ქუთათელაძე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობებს, რომ 16 ნოემბერს, ოთხშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე, დანიშნულია ტრაგიკულად გარდაცვლილ.

თ-დი კოწია იასონის ძე წულუკიძის

დაკრძალვა საფირჩხიის სასაფლაოზე მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან პოლიციის ქუჩაზე

12 ამა ნოემბერს, დღით შაბათს სოფელ ზედა ილემს გარდაიცვალა

კონსტანტინე ბეჟანის ე მაჭავარიანი

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ შვილი გარდაცვალებულის ნაფიცი ვექილი ზაქარია კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი ოჯახობით. დაკრძალვა მოხდება 16 ამავე ნოემბერს, დღით ოთხშაბათს დილის 11 საათზე ზედა ილემის ღედაღვთისის ეკლესიის გალავანში

## პასუხი

### „მუშა ფარმაცევტს“.

„ჩვენი მეგობრის“ ორი ნოემბრის №-ში თქვენ მოათავსეთ მუშა—ფარმაცევტების დამამცირებელი წერილი.

თქვენ შეეხეთ არსებულ მდგომარეობას ქუთაისის აფთიაქებში და შემდეგი ბრძანეთ: „დიპლომიანმა აფთიაქრებმა უბრალო ვაჭრებს გაასწრო ხალხის ტყავის ძარცვაშიო“, „უმატებენ ოც პროცენტს თავის აშლილ მადის დასაკმაყოფილებლად და ისედაც გაძვირებულ წამალს ძვირად ჰყიდიან თვით აფთიაქრებიო“ და ბოლოს დასძენთ, რომ მომავალ ქანქართა შადრევანის მოლოდინში, „დიპლომიან ალებს“ ნეტარების ღიმი შეემჩნევათო,“ და მოგვიწოდებთ მუშა ფარმაცევტებს „ნაცარცვით გატენილ სკივრების“ გასანაწილებლათ, რომელნიც თურმე ჩვენი დახმარებით გაუვსიათ ალებს. ის დასამტკიცებლათ მოგყავთ ზოგიერთი შემთხვევითი ფასები ამა თუ იმ წამლისა.

მე ფიქრადაც არ მაქვს აფთიაქრების ინტერესების დაცვა, მაგრამ როდესაც ვინმე ასეთი კორპორაციის წინააღმდეგ წერს და რაიმე ბრალს სდებს მას საზოგადოების წინაშე საბრალდებულო სკამზე სვამს მაშინ აუცილებლათ საჭიროა, რომ ცოდნა და დაკვირვება ჰქონდეს. ინებ ეს თქვენ „მუშა-ფარმაცევტმა“ გამოიჩინეთ. მე, როგორც მუშა-ფარმაცევტი შემდეგს გეტყვით; თქვენ თუ მხედველობაში მიიღებდით ის, რომ ჩვენ (მუშები) აფთიაქებს ხელს ვუმართავთ ხალხის ძარცვაში, მაშინ თქვენ უნდა ამხედრებულიყავით ასეთი ძარცვა გლეჯის წინააღმდეგ და მუშა ფარმაცევტებისთვის არ უნდიგეთითებიათ „ნაძარცვ-ნაგლეჯის“ განაწილებლათ. აქ თქვენში იჩინა თავი წვრილ ბურჟუაზიულ სულის კვეთებამ—ისინი გლეჯენ და არიქა ჩვენც წავიდეთ, ეს „მუშა ფარმაცევტს“ არ ეპატიება. მე ვიცი ისეთი მუშა—ფარმაცევტი, მ ასეთი არა საკადრისი, მოთხოვნილებისთვის იდეალათ დასახოს!

თქვენი წერილიდან სჩანს, რომ თქვენ ძალიან ცუდ ნაცნობხართ იმ პროფესიის წარმომადგენლებს, რომელშიაც თქვენ ტრიალებთ, თორემ ასეთ გალანძღვას თავს არ იდებდით და მათ განუვითარებლობა—ჩამორჩენას არ უკიჟინებდით და დიპლომიანი „მცარცვავების“ სკამზე არ დასვამდით. ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ არ ვიბრძოლოთ პირობების გასაუმჯობესებლათ, არამედ ბრძოლის საშუალებით ცხადი ვყოთ მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა და საჭიროება და ამავე დროს ისეთ საშუალებას არ მივმართოთ, რომ მან ჩვენვე დაგვამციროს მთელი საზოგადოების თვალში და—„მცარცვავ მგლეჯელთა“ დაქაშებათ დაგვსახონ.

ვლადიმერ გასაბაშვილი.

## ანგარიში

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ამას წინათ ოხდა ტყიბულის წიგნსაცავ-სამკითხველოს წლიური კრება. თავმჯდომარეობდა ბ-ნი მიხეილ ბოჭორიშვილი. რჩეულ იქმნა სადამშენებლო კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს და გამონახოს საშუალება საკუთარი შენობის შესაძენათ სამკითხველოსთვის. ამავე კრებაზე გაიმართა ხელის მოწერა ამ მიზნის განსახორციელებლათ. აი, შემოწირულების სია: ფილიკო ანდრიაძე 20 მანეთი. კოლია პატარაია 15 მანეთი. ვლადიმირ ქუთათელაძე, მიხეილ კბილაძე, ნინა მღებრიშვი, ილია ფოფხაძე, მიხეილ ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ ბოჭორიშვილი, აკაკი ცერცვაძე, ივანე ავრიდონიძე, ვასილ ბოჭორიშვილი, ამ აკო ბოჭორიშვილი, ალექსანდრე ბიალკოვსკი და ივანე ტიმოფეევი ათათი მანეთი. ისიდორე გვეტაძე, ვალენტინა ფოფხაძე, ვარლამ დარსაძე, იაკობ არაზოვი, ივანე მიქაუტაძე, სამსონ კიკაჩეიშვილი, აპოლონ ბოჭორიშვილი, ისაკი ანდრიაძე, იაკობ ფოფხაძე, ბესო ღვალი, მიხა ღვინერია, ივანე დოლგოვი, პლატონ ბოჭორიშვილი, იაკობ აკოფოვი და ნიკიფორე ჩხეიძე ხუთხუთი მანეთი. ლავრენტი ქათამაძე, ლავრენტი მანაგაძე, სიმონ მოლარიშვილი, ნოე გუგუშვილი, ვასილ ცირეკიძე, დიმიტრი ბაბუხადია, სამსონ ღვალი, გიორგი ბრეგაძე, მღვდელი გრიგოლ მიქაუტაძე, პლატონ გაპრინძე, ბაგრატ ბოჭორიშვილი, აქვსენტი გეგეშიძე, ბაგროვი ასტრიდგან სამსამი მანეთი. მელქო ბოჭორიშვილი, იონა ობოლაძე, პავლე ჯიშიაშვილი, თედორე კობახიძე, რაფიელ წერეთელი, იორამ კობახიძე, გედევან აშოთია, ილია ბოჭორიშვილი, ილია გოცირიძე, მანა ჭანტურიძე, მ. მღებრიშვი, ლევან ღუნდუა, ორორი მანეთი. მალაქია ქასრაშვილი 1 მ 50 კ, აბრამოვი დიმიტრი ჭეიშვილი, ნიკოლოზ ცერცვაძე. ნადია ჯანია ნიკიფორე სულამანიძე, ნინა ლადაძე, ს. ნა ლადაძე, ოლინკა ბურენიძე ალექსანდრე შარაშიძე, სტეფანე ვარდოსანიძე, მინა ბოჭორიშვილი ალექსანდრე სუხიშვილი მარო ლადაძე, ლუბა ლადაძე თითო მანეთი.

სულ შესდგა 311 მ. 50 კ.

სადამშენებლო კომისია დიდს მადლობას უცხადებს შემომწირველებს.

კომისიის წევრი ნიკიფორე ჩხაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული ბანკის წესდების მე-18 §-ს ძალით, **ამა 1916 წლის დეკემბრის** ქვემო მოხსენებულ რიცხვებში, შუადღის 12 საათიდან, ბანკში შესატანი გადასახადების შეუტანლობის გამო, მოხდება საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად, სადაც გაიყიდება ქვემო ჩამოთვლილი ქონებანი:

ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით მსესხებლებმა უნდა შემოიტანონ ბანკის კუთვნილი ნედოიმკები, პროცენტები ვადის გადაცილების გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია ქონების გასაყიდათ დანიშვნამ, პირველი ვაჭრობის დაწყებამდე, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს მსესხებლებმა უნდა წარმოადგინონ მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე და ამნაირათ გაანთავისუფლონ თავის ქონება გაყიდვისაგან.

გადასახადი ფული შეიძლება შეტანილ იქნას ვაჭრობის დღემდე—**ქუთაისში**, ბანკის კასაში, **თფილისში**—ბანკის სააგენტოში, თფილისის საკომერციო ბანკში, აზოვ-დონის და ვოლგა-კამის ბანკის განყოფილებებში, და „ა. ფრიდონოვისა და ამ." საბანკიერო კანტორაში; **ბათომში**—თფილისის საკომერციო ბანკის და შეერთებული ბანკების განყოფილებაში; **ფოთში, სოხუმში და ზუგდიდში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრობის დღეს, ვაჭრობის დაწყებამდი **მხოლოდ** იქ, სადაც საჯარო ვაჭრობა მოხდება—ბანკის გამგეობაში ქუთაისში და ბანკის სააგენტოში თფილისში.

ამასთანავე ერთად ბანკის გამგეობა სთხოვს ბ-ნ მსესხებელთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ნედოიმკა ვაჭრობის რამდენიმე დღის წინათ შეუტანიათ ბანკის კორესპოდენტებთან, სწრაფათ დეპეშით აცნობონ გამგეობას ფულის შეტანის შესახებ იმ დაწესებულებათა საშუალებით, სადაც ფული შეუტანიათ, ბანკის გამგეობა სანამ არ მიიღებს დეპეშით ცნობას კორესპოდენტთან ფულის შეტანის შესახებ, ფული წარდგენილათ არ ჩაითვლება დაამიტომ უძრავ ქონებას ვაჭრობიდან არ მოხსნის.

ბანკის იმავე წესდების მე-19 §-ის თანახმათ როგორც პირველი, ისე მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა მოხდება იმ უძრავ ქონების გასასყიდათ, რომელიც თფილისსა და თფილისის გუბერნიაშია და ქ. ყარსში—„ბანკის სააგენტოში", ქ. თფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, სახლი № 1, ხოლო დანარჩენ ქონებათა გასასყიდათ—ბანკის სადგომში, ქალაქ ქუთაისში, რიყინაშვილის სახლში სობოროს მოედანზე.

ბანკის მე-20 §-ის ძალით ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ირიცხება ქონებაზე სხვა და სხვა ხარჯებით, როგორც გაყიდვის გამო, ისე სხვა გაწერილი ხარჯებისა და აგრეთვე ისეთი გადასახადებისა, რომელთაც თავისი სიდიდით პირატესობა ეძლევა. ძირითადი ვალი შეიძლება გადატანილ იქნეს მეიდველზე ან გადახდილ იქნეს, ხოლო ყოველნაირი ნედოიმკა შეტანილ უნდა იქნეს ნაღდ ფულზე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინონ ნაღდ ფულზე ბე, რომელიც უნდა უდრიდეს ნედოიმკებისა და სხვა გადასახადების ჯამს, რაც ქონებაზე ირიცხება. უნდა იქნეს წარმოდგენილი ან ნაღდი ფულათ, ან სახელმწიფოსა და მთავრობისაგან უზრუნველყოფილ ქაღალდებით, აგრეთვე იმ ბანკისა საგირავნო ფურცლებით, რომელიც ყიდის მამულს, პროცენტიან ქაღალდები და საგირავნო ფურცლები მიიღებიან იმ შეფასებით, რომელიც გადაწყვეტილია ფინანსთა მინისტრისაგან მამულის უსასყიდლოთ გადასვლის დროს გადსახდელ ბაჟად.

ბანკის წესდების მე-21 §-ის ძალით ვაჭრობა შესრულებულათ უნდა ჩაითვალოს, თუ მეიდველის მიერ შემლეული ფასი დაფარავს იმავე წესდების მე-20 §-ში აღნიშნულ ვალს, ნედოიმკებსა და ხარჯებს. საჯარო ვაჭრობაზე შემლეული ჯამი წარდგენილი ბეს და ძირითადი ვალის და აგრეთვე შეძენილი მამულის დამტკიცების ხარჯების გამოკლებით, მეიდველმა უნდა შემოიტანოს არა უგვიანეს 14 დღისა, საჯარო ვაჭრობიდან, იმ შემთხვევაში, თუ მეიდველი თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ამ პირობას, ის დაკარგავს წარდგენილ ბეს, ხოლო, მამული ძველი პატრონის სახელზე დარჩება.

როგორც პირველი, ისე განმეორებითი ვაჭრობა იქნება მხოლოდ სიტყვიერი; დაბეჭდილი კონვერტებით წარდგენილი ფასები არ მიიღება. არავითარი უპირატესობა საჯარო ვაჭრობაზე არ ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც ბანკის შემდეგ დამატებით გირავნობა აქვთ. ამათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში სხვებთან თანასწორ პირობებში.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია ბანკის გამგეობაში ინახულოს გასაყიდი მამულის საქმის წარმოება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი.

## პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 2 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელნიც ქალ. თფილისის გუბერნიაში და ქალ. ყარსშია.
ბ) 7 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ქუთაისშია.
გ) 12 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა ქალაქებსა, დაბებსა და აგრეთვე სოხუმისა და ბათომის ოლქებშია.
დ) 15 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და სოხუმის ოლქების სოფლებშია და აგრეთვე იმისა, რომელზედაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.

## განმეორებითი და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 19 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც თფილისსა, თფილისის გუბერნიაში და ქალაქ ყარსშია.
ბ) 23 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ქუთაისშია.
გ) 28 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ქალაქებსა დაბებსა და აგრეთვე სოხუმის და ბათომის ოლქებშია.
დ) 30 **დეკემბერს** იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის და სოხუმის ოლქების სოფლებშია და აგრეთვე; იმისა რომელზეც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.